საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 23 0000335739

23/03/2023

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 29 დეკემბრის № №15/02-654 (ცენტრში რეგისტრაციის № 1775, 09/01/2023) წერილი "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 16 იანვრის № 32683 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 27 იანვრის № 85922 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 07 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 9 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის შეფასება, კერძოდ 2.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“,

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2026 წლის 01 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 23 მარტის სხდომის № 334386 ოქმის № 04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

4. რეკომენდაციები:

4.1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მიეთითოს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები.
4.2. მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა;
4.3. გაიზარდოს პერსონალის განვითარებაში პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენება და შეფასების შედეგები აისახოს პერსონალის განვითარების აქტივობებში.
4.4 რეკომენდებულია, რომ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასების ანალიზი მოხდეს ინდივიდუალურად და არა ერთიან ანალიტიკურ დოკუმენტში.

5. რჩევები:

5.1. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ამოწმებს საერთაშორისო კრიტერიუმებს პროგრამის მოდიფიკაციისთვის, შესაძლოა სასარგებლო იყოს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კურსის კლასტერების იდენტიფიცირება, რომელთა გავლის შემთხვევაში სტუდენტისთვის შესრულდება სპეციალიზებული და „სერტიფიცირებული პროფილური დარგი“, რაც დაეხმარება სტუდენტს მიიღოს სპეციალობა კონკრეტულ დარგში და ეს გამოარჩევს ამ კურსდამთავრებულს სხვა კურსდამთავრებულებისგან.

5.2. სასურველი იქნებოდა უცხოელი მეცნიერებისა და სტუდენტების ჩართვა არსებული პროგრამისა და კურსების გაცნობაში, ახალი იდეების მისაღებად და სამიზნე ნიშნულების დასაკმაყოფილებლად.
5.3. შეიძლება სასურველი იყოს, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მოკლედ და კონკრეტულად ჩამოყალიბება.
5.4. სასურველი იქნება, უფრო ვრცელი, დეტალური გეგმების შემუშავება, თუ როგორ მოხდეს მორგება ინოვაციურ სწავლებასთან ელექტრონული სწავლების მეთოდებით, რომლებიც სწრაფად ვითარდება და აძლიერებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს, მათი კვლევის შედეგების ჩვენების შესაძლებლობით (მაგ. სტუდენტის მიერ რედაქტირებული „სამართლის მიმოხილვა“).
5.5 ვინაიდან სასწავლო პროგრამა ასევე კონცენტრირებულია ევროკავშირის სამართალზე, სასურველი იქნებოდა თუკი დაინერგებოდა პრაქტიკული კურსი მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განაჩენების თაობაზე, რაც მრავალმხრივ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ECHR-ის გადაწყვეტილებები.
5.6. გაგრძელდეს პერსონალის საერთაშორისო საქმიანობის აქტიური მხარდაჭერა.
5.7.პროგრამის რესურსების შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს პროექტორების რაოდენობა კლასებში და შემდგომ გააუმჯობესოს სასწავლო მართვის სისტემის ფუნქციონალობა, როგორც ზემოთ აღინიშნა.
5.8. კვლევის დაფინანსების მიზნით, დაინერგოს შიდა საგრანტო კონკურსები სასურველია, ყველა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით ჩატარდეს.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 9 მარტს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№291499, მარტი 26, 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო პირველი სასწავლო კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 09 მარტი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01 ივლისი 2026 წელი